საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11757/01
12/11/2021

11757-01-2-202111121733

შპს „რეპსოლს“
ელ. ფოსტა: qobulaSvili56@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N17265 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის (ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა) და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- „წყალდაცვითი ზოლის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ. ხელედულას წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 20 მეტრს კალაპოტის კიდიდან. შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია ხვდება მდინარის წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში. ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, წყალდაცვით ზოლში დაშვებულია არსებული საწარმოს ექსპლუატაციის პირობის/ტექნოლოგიური სქემის ცვლილება ან/და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა, თუ ის მიერთებულია კანალიზაციის ცენტრალიზებულ სისტემასთან ან აღჭურვილია/აღიჭურვება შესაბამისი რეზერვუარებით ან/და სანიაღვრე წყლების საკანალიზაციო სისტემებით ან/და სხვა მოწყობილობებით, რომლებიც გამორიცხავენ წყლის ობიექტის დაბინძურებასა და დანაგვიანებას, აგრეთვე, არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება/მოდერნიზაცია. სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე მოხვედრილი ნალექების და ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრება გათვალისწინებულია მოედნის პერიმეტრზე განთავსებული ღია ღარების საშუალებით, საიდანაც ჩაედინება გამწმენდ სალექარ-დამჭერში. თუმცა, სკრინინგის განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია წარმოადგენს „დამუშავებული ქანების დატკეპნილ ზედაპირს”. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს გრუნტის, ასევე,

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურების რისკის შესახებ ინფორმაცია;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, მდ. ხელედულას კალაპოტი გამაგრებულია რკინაბეტონის ჯებირით, თუმცა წარმოდგენილი ფოტომასალიდან ირკვევა, რომ რკინაბეტონის ჯებირი მნიშვნელოვნად დაზიანებულია. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მდინარის მოსალოდნელი დაბინძურების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 180 მეტრში, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან 120 მეტრში, რაც საჭიროებს დაზუსტებას, ამასთან, დასაზუსტებელია საპროექტო ტერიტორიიდან 40 მეტრში არსებული - ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ახალგაზრდული სახლის შენობის (ს.კ. 87.04.21.093) ფუნქციური დანიშნულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე